საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლება
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და აქტუალობა	სახელმწიფო აცნობიერებს რა განათლების მნიშვნელობას, განათლებაზე ზრუნვას იწყებს ადრეული ასაკიდან. საქართველოში სკოლამდელი აღზრდა სცილდება ბავშვის მხოლოდ სკოლისთვის მომზადების არეალს და მიზნად ისახავს მის პიროვნებაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენას, რაც ბავშვს საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ჩვევებს განუვითარებს. შესაბამისად, სკოლამდელმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი, შემოქმედებითი და სოციალურ-ემოციური უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების, გრძნობების აღზრდას. სკოლამდელი განათლების პროგრამის მიზანია მოამ-ზადოს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სკოლამდელი განათლების ბაკალავრი, რომელსაც ა) გააჩნია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, გაცნო-ბიერებული აქვს პროფესიის მნიშვნელობა საზოგადოებისა და ქვეყნის განათლების სისტემისთვის; ბ) პროფესიული საქმიანობისას შეუძლია ბავშვის ჰოლის-ტურ განვითარებაზე ზრუნვა, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით სიტუაციის ანალიზი, კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება და მისი წარდგენა მშობლების, პროფესიონალებისა და თემისთვის, თანამშრომლობითი ფორმით; გ) ჩამოყალიბებული აქვს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, პატივს სცემს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპებს, ზრუნავს პროფესიული განვითარებისა და შრომის ბაზარზე დამკვიდრებისთვის.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება:** **1.1.** ახდენს ბავშვის განვითარების შესახებ თეორიებში, სკოლამდელი განათლების კონცეფციებში, ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საფუძვლებში ცოდნის დემონსტრირებას; 1.2. აცნობიერებს ბავშვის განვითარების ჰოლისტურ და ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს, დემოკრატიული და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს, თამაშის ცენტრალურ მნიშვნელობას, ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, უნივერსალურ და ინდივიდუალურ სასწავლო სტრატეგიებს, გუნდური მუშაობის თავისებურებებს; 1.3. ფლობს ოჯახის თავისებურებების, პოზიტიური მშობლობის პრინციპების, მშობლებთან/კანონიერ წარმომად-გენლებთან, პროფესიონალებთან, თემთან ურთიერთობის სტრატეგიების ცოდნას; **უნარი:**

	2.1. აკვირდება და აფასებს ბავშვის პროგრესს, ახდენს დოკუმენტირებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირებას, მათი ინკლუზიისთვის შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებას და ინდივიდუალიზებულ მხარდაჭერას; 2.2. უზრუნველყოფს თამაშის ხელშეწყობას, ინტეგრირებული კურიკულუმის დანერგვას, უსაფრთხო, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, ჰიგიენასა და კვებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს; 2.3. ხელს უწყობს ენის ათვისებას, მულტილინგვური განათლების პერსპექტივის გათვალისწინებით, სოციალურ ინკლუზიას, ბავშვებისათვის ადგილობრივი და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მისაწვდომობას, მათი კულტურულ და სათემო პროექტებში ჩართვით; 2.4. აანალიზებს ბავშვთან და მშობელთან/კანონიერ წარმომად-გენელთან ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების/კომუნიკაციის მნიშვნელობას, ადგილობ-რივი თემის საჭიროებებს, სკოლამდელი განათლების საკითხებში; **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** 3.1 ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესს, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომებით რეაგირებს ცვლილებზე; 3.2 გეგმავს და ატარებს პრაქტიკის კვლევას, ინიცირებს გამოცდილების რეფლექსიას; 3.3 ხელს უწყობს სკოლამდელი განათლების სფეროს სპეციალისტებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებას; ადგილობრივ თემში ხარისხიანი, ინკლუზიური სკოლამდელი განათლების სერვისების დანერგვას, ეთიკის ნორმების გათვალისწინებით ბავშვებისა და ოჯახების უფლებების პოპულარიზაციას და დაცვას.
შეფასების წესი	სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების და „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით. სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება ცალკეულ კომპონენტში მიღებული შეფასებით. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს. სასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. **შუალედური შეფასება მოიცავს:** ა) შუალედური გამოცდის შეფასებას - მაქსიმუმ 20 ქულა; ბ) მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა. მიმდინარე შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს წერითი გამოკითხვები (ტესტი, რეზიუმე, საშინაო დავალება, ესე, სიტუაციური ამოცანა, კაზუსი და სხვა), ზეპირი გამოკითხვები (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, აქტიურობა სემინარზე და სხვა) და შეფასების სხვა

	ფორმები (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვა). დასკვნითი შეფასების ფორმებია: დასკვნითი გამოცდა, პროექტი ან სხვა სახის შეფასება. შუალედური გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - წერითი ან კომბინირებული (წერითი და ზეპირი) ფორმით. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში, წერითი ნაწილის ხვედრითი წილი შეადგენს საერთო შეფასების არანაკლებ 50%-ს. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია დასკვნითი გამოცდის მხოლოდ ზეპირი ან ტესტური ფორმით ჩატარება. რეკომენდებულია, დასკვნითი გამოცდის საკითხები მოიცავდეს: თეორიულ საკითხებს, პრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ამოცანებს, ტესტებს და სხვა ტიპის დავალებებს, სილაბუსში აღწერილი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკის მიხედვით. პრაქტიკის, პროექტის, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება ითვალისწინებდეს განსხვავებულ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემასთან თავსებად კომპონენტებს, რაც დეტალურად აღწერილია შესაბამისი სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. სტუდენტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა. სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ბსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას, სასწავლო პროცესის (მათ შორის ელექტრონულად) წარმართვის შესახებ სამართლებრივ აქტებს ან/და ბსუ-ს ეთიკის კოდექსს. პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იყოფა კატეგორიებად: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა; ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	**ნატო შეროზია** - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **საკონტაქტო ინფორმაცია:** ტელეფონი:(+995)577 17 37 07 ელ.ფოსტა:nato.sherozia@bsu.edu.ge **ნანი მამულაძე** - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ტელეფონი:(+995)577 14 10 56 ელ.ფოსტა: n.mamuladze@bsu.edu.ge